* * *

ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აჰგვი
ფერფლს, თრთვილივით რომ დაჰფარა ცვარი.
დაიძვრი მარჯვნივ – დაგწევს არაგვი,
გაიწევ მარცხნივ – დაგხვდება მტკვარი.
მოუხვევ – და გზას გადაგიჭრიან
გათხრათა ფშნები, როგორც არხები.
არ მიხვალ – ლალნი თვალებს გიჭრიან,
მიხვალ და – ცოცხლად დაიმარხები.
თუ იტყვი ძველი გზებით დახევას,
შენს აქ მომგზავნელს რას ეუბნები?
თვით მცხეთა შიგნით დაგშლის ნახევარს,
ნახევარს – მცხეთის გარეუბნები.
ზე აიხედავ – სივრცეა ზეცის,
ძირს დაიხედავ – რა გეფიცება?
მკვდარს – გვერდზე წვენილს, ხელფეხმოკეცილს –
ორმო–სამარხში გაეღვიძება!
ხმალს მივარდება მტერთ სამუსვრელად –
მტკვარი მოხვდება ხელთ ბრინჯაოსი
და ცხარე ბრძოლის იქცევა ველად
ველი სამთავროს სასაფლაოსი.

სვეტიცხოვლიდან შეხედავ ტყე–ველს
ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ჭაღში –
და ივერიის როსმე უძლეველთ
გმირთ წინ მიუძღვის თვით პიტიახში.

ას, მტერი, მტერი, ის ტყისკენ იხევს,
არმაზის ხევით მისდევს წვალება,
მაგრამ უძლეველს არმაზის ციხეს,
მთაზე მდგომს, როგორ დაემალება?

უზარმაზარი გალავნის კედელს
ის გაეკვრება, შიშისგან მკვდარი.
ახალო მცხეთავ, შენს შეუწყვეტელს
ამღელვარებას ჟღერს ჩემი ქნარი.